ხელშეკრულება

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, **შპს პრაქტიკული ქირურგიის აკადემია** (ს/კ: 406418489) წარმოდგენელი მისი დირექტორის ოთარი ღურწკაიას სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც **„აკადემია“**

მეორე მხრივ პირი, რომელიც გადის რეგისტრაციას კურსზე, შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„მონაწილე“**

ერთად წოდებულნი როგორც **„მხარეები“,** ხოლო ცალკ-ცალკე, როგორც **მხარე,** ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომ **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აკადემია იღებს ვალდებულებას ზურაბ ტყეშელაშვილის სახელობის ტრავმატოლოგია ორთოპედიის ცენტრში (შემდგომში „**ცენტრი**“) მონაწილეს ჩაუტაროს, პრაქტიკული და თეორიული კურსი (შემდგომში „**კურსი**“) ქირურგიაში, რომლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 8-10 კვირას, ხოლო მონაწილე იღებს ვალდებულებას გადაიხადოს კურსის საფასური, დაესწროს სრულ კურსს და მოუფრთხილდეს ამავე კურსის ფარგლებში გამოყენებულ ნებისმიერი სახის ინვენტარს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.1. აკადემიის უფლება-მოვალეობები:

2.1.1. აკადემია ვალდებულია შეუქმნას მონაწილეს კურსზე დასწრებისა და სწავლისათვის საჭირო პირობები.

2.2.2. აკადემია ვალდებულია, მონაწილის მიერ კურსის საფასურის სრულად გადახდის სანაცვლოდ, ჩაუტაროს პრაქტიკული და თეორიული კურსი ქირურგიაში, რომლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 8-10 კვირას.

2.1.3. აკადემია ვალდებულია გააცნოს მონაწილეს კურსის სილაბუსი.

2.1.4. აკადემია ვალდებულია გასცეს მონაწილეზე კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მხოლოდ მონაწილის მიერ კურსზე სრულად დასწრების შემთხვევაში. მონაწილის კურსის საპატიო მიზეზით გაცდენისა და ამგვარი მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ, შესაბამისად აკადემია გასცემს კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

2.1.5. აკადემია უფლებამოსილია მოსთხოვოს მონაწილეს კურსის ყველა შეხვედრაზე დასწრება, გარდა მონაწილის მიერ შეხვედრის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევისა. ასეთ დროს, აკადემია

უფლებამოსილია მონაწილის მიერ ნებისმიერ ერთი შეხვედრის გაცდენის შემთხვევაში მოსთხოვოს მას წერილობითი ახსნა-განმარტება და საპატიო მიზეზის დამადასტურებელი ვალიდური დოკუმენტი.

2.1.6. აკადემია უფლებამოსილია მოსთხოვოს მონაწილეს კურსის ფარგლებში გამოყენებული ნებისმიერი სახის ინვენტარისადმი მოფრთხილება, ხოლო მისი დაზიანების შემთხვევაში დამდგარი ზიანის სრულად ანაზღაურება.

2.1.7. აკადემია უფლებამოსილია კურსის მიმდინარეობის და მისი დასრულებისას, საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს მონაწილეს აკადემიის დაგეგმილ აქტივობებში/ღონისძიებებში/გადაღებებში მონაწილეობის მიღება.

2.1.8. აკადემია უფლებამოსილია თავად განსაზღვროს კურსის ჩატარების გრაფიკი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გარკვეული გარე ფაქტორების გამო ლექცია ვერ ტარდება დაგეგმილ დღეს ან/და დროს, გადაიტანოს ლექცია სხვა დღეს ან/და დროს.

2.2. მონაწილის უფლება-მოვალეობები:

2.2.1. მონაწილე ვალდებულია რეგისტრაციისას სრულად დაფაროს კურსის საფასური 780 (შვიდას ოთხმოცი) ლარი.

2.2.2. მონაწილე ვალდებულია მოუფრთხილდეს კურსის ფარგლებში გამოყენებულ ნებისმიერი სახის ინვენტარს, ხოლო მისი დაზიანების შემთხვევაში არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა აუნაზღაუროს აკადემიას დამდგარი ზიანი სრულად.

2.2.3. მონაწილე ვალდებულია დაიცვას ცენტრის შინაგანაწესი, მათ შორის და არა მხოლოდ ცენტრის ქცევის ნორმები.

2.2.4. მონაწილე ვალდებულია სრულად დაესწროს კურსის ყველა შეხვედრას, მათ შორის და არა მხოლოდ გამოცდის ტიპის შეხვედრებს.

2.2.5. მონაწილე უფლებამოსილია გააცდინოს კურსის შეხვედრა მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას, რის შესახებაც წინასწარ წერილობით აცნობებს აკადემიას. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე კარგავს, ხოლო აკადემია იხსნის ვალდებულებას გასცეს მონაწილეზე კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

2.2.6. მონაწილე ვალდებულია კურსის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში წარმოადგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი ვალიდური დოკუმენტი.

2.2.7. მონაწილე ვალდებულია კურსის მიმდინარეობის და მისი დასრულებისას საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ცენტრის მიერ დაგეგმილ აქტივობებში/ღონისძიებებში/გადაღებებში.

2.2.8. მონაწილე უფლებამოსილია მოსთხოვოს აკადემიას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კურსის ჩატარება ქირურგიაში.

2.2.9. მონაწილე ადასტურებს, რომ გაეცნო კურსის ფარგლებში მისთვის წარდგენილ სილაბუსს და აცხადებს რომ მისთვის მისაღები/დამაკმაყოფილებელია აკადემიის წარმოდგენილი პროგრამა ყველა ასპექტში.

2.2.10. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მონაწილე აცნობიერებს რომ :

(ა) კურსის ფარგლებში მას შესაძლოა მოუწიოს ოპერაციაზე მისვლა, მაგრამ ოპერაცია არ დაიწყოს დაგეგმილ დროს, ან გადაიდოს, რასთან დაკავშირებითაც მონაწილე არ გამოთქვამს რაიმე პრეტენზიას;
(ბ) კურსის ფარგლებში მას შესაძლოა მოუწიოს ოპერაციაზე მისვლა, რომელშიც ვერ მიიღებს უშუალოდ მონაწილეობას და შემოიფარგლება მხოლოდ საოპერაციო მაგიდასთან დაკვირვებით, რასთან დაკავშირებითაც არ გამოთქვამს არანაირ პრეტენზიას.
(გ) ნებისმიერი მიზეზით კურსის შეწყვეტის შემთხვევაში მას არ დაუბრუნდება კურსში გადახდილი საფასური, რასთან დაკავშირებითაც არ გამოთქვამს არანაირ პრეტენზიას.

მუხლი 3. მხარეთა პასუხისმგებლობა, განცხადებები და გარანტიები

3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება, დარღვევის შემთხვევაში მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება.
3.2. აკადემიის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ დარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის არსებობის, მონაწილის ან/და მესამე პირის მითითების ან მონაწილის ან/და მესამე პირის ბრალეული ქმედების გამო.
3.3. მონაწილე ადასტურებს რომ გაეცნო კურსის ფარგლებში მისთვის წარდგენილ სილაბუსს და აცხადებს რომ მისთვის მისაღები/დამაკმაყოფილებელია აკადემიის წარმოდგენილი პროგრამა ყველა ასპექტში.
3.4. აკადემია აცხადებს, ხოლო მონაწილე სრულად აცნობიერებს, რომ კურსის ფარგლებში მიღებული სერტიფიკატი არ წარმოადგენს რაიმე იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს ან/და არ უტოლდება სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს ან სხვა სახის სერტიფიკატს, მათ შორის და არა მხოლოდ, მონაწილე აანალიზებს რომ წინამდებარე კურსის ფარგლებში გაცემული სერტიფიკატი არც ერთ შემთხვევაში არ ქმნის რაიმე სახის გარანტიას ნებისმიერ სახის სასწავლო დაწესებულებაში რაიმე მიმართულებით დამატებითი ან/და არსებული კრედიტების ჩათვლასთან დაკავშირებით.
3.5. მონაწილე აცხადებს და აცნობიერებს, რომ კურსის დასრულების შემთხვევაში აკადემიას არ აქვს/ არ წარმოეშვება რაიმე სახის ვალდებულება მონაწილის კარიერის სამომავლო განვითარება ან/და დასაქმებასთან დაკავშირებით.
3.6. მხარეთა პასუხისმგებლობა, რაც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებათა შესაბამისად.

4. ანგარიშსწორება

4.1. კურსის ღირებულება შეადგენს 780 (შვიდას ოთხმოც) ლარს, რომლის დაფარვასაც მონაწილე უზრუნველყოფს რეგოსტრაციისას
4.2. კურსის ღირებულების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, აკადემიის შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე ელ.კომერციის გზით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორული გარემოებანი

5.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი; „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ/მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. მხარემ, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება მისთვის დამდგარი ფორს-მაჟორული გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ/მიზანშეწონილობის მიხედვით აგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

5.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებები გაგრძელდება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეები წყვეტენ ხელშეკრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს.

მუხლი 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა,მოქმედება და შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული კურსის დასრულებამდე;

6.2. აკადემიური ჩამორჩენილობის, კურსის შეხვედრების სისტემატიური ან/და მონაწილის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, აკადემია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, წინასწარ მონაწილის 1 (ერთი) დღით ადრე ზეპირი ან წერილობითი ფორმით გაფრთხილების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში აკადემიას არ წარმოეშობა წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლით გათვალისწინებული დათქმების შესრულების ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში მონაწილეს არ უბრუნდება კურსის გავლაში გადახდილი საფასური.

მუხლი 7. დავების განხილვა

7.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. მხარეები ეცდებიან პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა;

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

მუხლი 8. დამატებითი პირობები

8.1. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში;

8.2. ყოველი საკითხი, რასაც არ მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.3. ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტული მუხლის/პუნქტის ბათილობა არ იწვევს მემორანდუმის ბათილობას;

8.4. მხარეებს არ აქვთ უფლება, წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს, გარდა ამ მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის ორი იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, მხარეთათვის გადასაცემად.

აკადემია **მონაწილე**

შპს „პრაქტიკული ქირურგიის აკადემია“
ს/კ: 406418489
ელ.ფოსტა: academyofpracticalsurgery@gmail.com

დირექტორი
ოთარი ღურწკაია

პრაქტიკული
ქირურგიის აკადემია